

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მაკვანეთის
მაჟორიტარი დეპუტატის

ბექა თოიძის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

მოგესალმებით ამომრჩევლებო.

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საკრებულოს წევრი გავხდი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით. 2018 წელს მონაწილეობა მივიღე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში 15-ჯერ რომელზედაც მიღებული იქნა 60-ნორმატიულ სამართლებრივი აქტი -დადგენილება და 91 -ინდივიდუალური აქტი განკარგულება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში: 1. აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია. 2. საფინანსო საბიუჯეტო კომისია. რომელსაც დავესწარი 35-ჯერ

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები“-ს წევრი. დავესწარი ფრაქციის 11 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში..

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ყოველთვიური გრაფიკის შესაბამისად სულ 20-ჯერ . ასევე მოქალაქეთა მიღებები ყოველთვიური გრაფიკის შესაბამისად 28-ჯერ. სოფელ მაკვანეთის ად.შენობაში. ამომრჩევლების (მოქალაქეების) მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და სოფლის ინფრასტრუქტურას.

სოფელ მაკვანეთში დაიგო 700 მ.ბეტონის საფარი.(გოგიეთის უბანი).შერემონტდა ცენტრი ეწერის 2კმ.-იანი ასფალტის საფარი.

დაიდგა 10 ცალი სანაგვე ურნა.

გარემონტდა საბავშვო ბაღის ორი ოთახი.

დასრულდა არტემ ერქომაიშვილის სახლ-მუზეუმის მშენებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში გაიხსნება.

სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლასა და საბავშვო ბაღთან და ასევე მერეს უბანში სტადიონთან გაკეთდა, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი.

საჭიროებისამებრ უბნების მიხედვით მოიხრემა შიდა გზები.

აქტიურად ვიყავი ჩართული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა დამტკიცებაში. აგრეთვე საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების დამტკიცებაში.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს. მე, როგორც საკრებულოს წევრი, ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას, როგორც საკრებულოში ასევე ამომრჩეველთან.

საკრებულოს წევრი სოფელ

მაკვანეთის

მაჟორიტარი დეპუტატი

ბექა თოიძე

12.02.2019 წელი